ტაშკენტი. “ფახთაქორის” სტადიონი. 27 აგვისტო.

“ფახთაქორი” (ტაშკენტი) – “დინამო” (თბილისი) 2:1 (1:1).

“ფახთაქორი”: იანოვსკი, ნეჩაევი, ენსი, ბონდარევი, შირინი, კიმი, დენისოვი, გლუშაკოვი, ფაირუზოვი, შაიმარდანოვი (უბაიდულაევი), წერეთელი (ამრიევი).

“დინამო”: გაბელია, გ. მაჩაიძე, ჩივაძე, სულაქველიძე, ჭილაია, დარასელია, მ. მაჩაიძე, კაკილაშვილი (ქორიძე), გუცაევი, ყიფიანი, კოპალეიშვილი (შენგელია).

მსაჯი: ვ. ბასკაკოვი (მოსკოვი).

დუბლიორები – 1:2.

ეს იყო ტაშკენტის “ფახთაქორის” პირველი გამოსვლა საკუთარ სტადიონზე განახლებული შემადგენლობით. გუნდს, როგორც ვიუწყებოდით, ადგილობრივის გარდა რამდენიმე გამოცდილი ფეხბურთელიც შეემატა ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა კლუბიდან.

თბილისელმა სპორტსმენებმა ყვავილებით შეამკეს საავიაციო კატასტროფაში დაღუპულ ტაშკენტელ ფეხბურთელთა საფლავები, მატჩის წინ კი წუთიერი დუმილით აღნიშნეს მათი ხსოვნა. სტუმრებს მაისურებზე შავი ბაფთები ჰქონდათ გაკეთებული.

…თამაში სწრაფად და ტემპიანად დაიწყო. მიმდინარეობდა მე–7 წუთი, როცა ყიფიანმა კარგად ისარგებლა მეტოქის კართან შექმნილი მომენტით და გახსნა ანგარიში, ხოლო მე–13 წუთზე ფაირუზოვმა ზუსტი დარტყმით გაქვითა გოლი – 1:1.

შესვენების შემდეგ, 65–ე წუთზე, დინამოელთა საჯარიმო მოედანზე უხეშად ითამაშეს წერეთლის წინააღმდეგ, რისთვისაც დაინიშნა პენალტი. ნეჩაევის დარტყმა ზუსტი იყო – 2:1.

“ლელო”, 28 აგვისტო, 1979 წ.